ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ 2025 წლის 29 სექტემბრის

სხდომის ოქმი №2

ქ. ახალციხე 2025 წელი, 29 სექტემბერი

სხდომას ესწრებოდნენ:

ირაკლი ლაზარაშვილი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი
ილია ზარდიაშვილი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე
ვაჟა გაჩეჩილაძე	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე
რუბენ კარაპეტიანი	ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე

„ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ბელა ავალიშვილი
2. ნუგზარ თათეშვილი
3. ნანა იოსელიანი
4. ომარ ჯაყელი
5. ვასილ კვინცხაძე
6. შალვა ტაბატაძე
7. გიორგი ბუცხრიკიძე
8. მაია გაჩეჩილაძე
9. მეგი თათეშვილი
10. ციური ლაფაჩი
11. ნათია ზურაბაშვილი
12. გიორგი კურტანიძე
13. ქეთევანი თედორაძე

სხდომას არ ესწრებოდნენ „ სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1. ცირა მესხიშვილი
2. თამარ კაპანაძე

3. მაკა ბერიძე
4. მერაბ ბერიძე
5. გურამი ჯინჭველაძე
6. ნიკოლოზ ხიზანაძე
7. რომან მაისურაძე
8. ნათია ტაბლიაშვილი
9. ნატალი სისვაძე
10. ნუგზარ რუხაძე
11. რიმა სუდაძე

დღის წესრიგი

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში;
2. საბჭოს წევრების რეკომენდაციები და ინიციატივები;

„სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ მორიგი შეხვედრა გაიმართა, რომელსაც მერი ირაკლი ლაზარაშვილი უძღვებოდა. შეხვედრას მერის მოადგილეები ილია ზარდიაშვილი, ვაჟა გაჩეჩილაძე, რუბენ კარაპეტიანი, მერიის სამსახურებისა და ა(ა)იპ-ების ხელმძღვანელები, ასევე მერიის ახალგაზრდული საბჭოს წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დღის წესრიგის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა შეხვედრის მონაწილეებს 2025 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარუდგინა. მან დეტალურად ისაუბრა განხორციელებულ და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, ჯანდაცვისა და სოციალურ პროგრამებზე, აღნიშნული პროგრამების ფარგლებში მოსახლეობისათვის გაწეულ დახმარებაზე, ასევე, კულტურის, განათლებისა და სპორტის მიმართულებით ჩატარებულ ღონისძიებებზე.

ყურადღება დაეთმო 2025 წლის ბიუჯეტს და მის ძირითად პრიორიტეტებს. ესენია: ინფრასტრუქტურის განვითარება, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, ჯანმრთელობისა და სოციალური საკითხების დაცვა, განათლება და კულტურა. აღინიშნა, რომ ეს ის ძირითადი მიმართულებებია, რომლებიც ორიენტირებულია მოსახლეობის მხარდაჭერაზე.

ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი: დამტკიცდა - 36, 4 მილიონი ლარით, 1 სექტემბრის მდგომარეობით - 53 907,0 მილიონ ლარს შეადგენს;

ბიუჯეტის ხარჯები პროგრამების მიხედვით: სულ გაიხარჯა 30 902.0 მილიონი ლარი. მათ შორის, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება - 7 066.000 მილიონი ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტიდან 23 836.0 მილიონი ლარი.

- ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისთვის - 11 979,0 მილიონი ლარი.
- დასუფთავება და გარემოს დაცვისთვის - 2 389,0 მილიონი ლარი.
- განათლებისთვის - 5 316,0 მილიონი ლარი.

- კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის მიმართულებით - 5 186,0 მილიონი ლარი.
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფისათვის -1 451,0 მილიონი ლარი.

ირაკლი ლაზარაშვილმა აღნიშნა, რომ 2025 წელს, ინფრასტრუქტურის კუთხით არსებული საჭიროებების უზრუნველსაყოფად, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებით ხორციელდება 100-ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი, რომელთა საერთო ღირებულება 21 მილიონამდე ლარს შეადგენს.

ინფრასტრუქტურული პროექტები დაფინანსების წყაროების მიხედვით: რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 11 პროექტი, ადგილობრივი ბიუჯეტი - 41 პროექტი, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“ - 46 პროექტი, საჯარო სკოლების რეაბილიტაცია - 3 პროექტი, „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა - 1 პროექტი, სტიქიის სალიკვიდაციო ფონდი - 2 პროექტი.

საგზაო ინფრასტრუქტურა: 2025 წელს ახალციხის მუნიციპალიტეტში რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 8 მასშტაბური პროექტი ხორციელდება. ჯამში, მიმდინარე და დასრულებული საგზაო ინფრასტრუქტურული სამუშაოების ფარგლებში 13 კილომეტრამდე სიგრძის გზა მოწესრიგდება.

მიმდინარე და განხორციელებული საგზაო ინფრასტრუქტურული პროექტები:

- სოფელ ტყემლანის გზის რეაბილიტაცია;
- ქალაქ ვალეში, ბარათაშვილის ქუჩაზე შიდა გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ წნისში შიდა გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ აწყურში შიდა გზის რეაბილიტაცია;
- სოფელ ხეოთში შიდა გზის რეაბილიტაცია;
- სოფლებში აგარაში, წნისში და ხაკში შიდა გზების რეაბილიტაცია;
- სოფელ წინუბანში ქუჩების რეაბილიტაცია;
- ქალაქ ვალის, მეორე შახტის დასახლებაში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია.

სარწყავი სისტემების რეაბილიტაცია: მიმდინარე წელს, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ სხვილისში განხორციელდა სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის (ე. წ. "ფარეხას") სარეაბილიტაციო სამუშაოები; ასევე, ახალციხის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭაჭარაქში მიმდინარეობს სარწყავი სისტემის სატუმბი სადგურის რეაბილიტაცია.

ხიდების რეაბილიტაცია: ქალაქ ახალციხეში ყაზბეგის ქუჩაზე დასრულდა არსებული ხიდის კაპიტალური რეაბილიტაცია, სოფელ სხვილისში, განხორციელდა მდინარე ფოცხოვისწყალზე მდებარე 74 მეტრი სიგრძის დაკიდული ხიდის რეაბილიტაცია. ასევე, სოფელ მუსხში სარეაბილიტაციო სამუშაოები უტარდება მდინარე ურავლისწყალზე გადასასვლელ ხიდს, სოფელ ივლიტაში კი 2 ახალი რკინაბეტონის ხიდი ეწყობა.

საბავშვო ბაღები: ახალი საბავშვო ბაღები აშენდა ქალაქ ახალციხეში, თამარაშვილის ქუჩაზე და სოფელ აგარაში; დასრულების ეტაპზეა სოფელ მუსხისა და ქალაქ ახალციხის №4 საბავშვო ბაგა-ბაღების მშენებლობა. ასევე, სოფელ აწყურში მიმდინარეობს ახალი საბავშვო ბაღის სამშენებლო სამუშაოები.

შენობების ფასადებისა და სადარბაზოების რეაბილიტაცია: ქალაქის იერსახისა და მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების მიზნით გრძელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების

სახურავების, ფასადებისა და სადარბაზოების, ასევე საკანალიზაციო სისტემების რეაბილიტაცია. ამ მიმართულებით მიმდინარე წელს 13 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“: პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა სახის 46 ინფრასტრუქტურული პროექტი ხორციელდება. მოსახლეობის მიერ არჩეულ პრიორიტეტებს შორის არის: შიდა გზები, გარე განათება, სასმელი და სარწყავი წყლის სისტემები, სანიაღვრე არხები, სკვერები და სხვა.

კულტურული და სპორტული ინფრასტრუქტურა: რაც შეეხება, კულტურულ, სპორტულ და გასართობ ინფრასტრუქტურას, ამ მიმართულებითაც აქტიურად გრძელდება მუშაობა.

- ქალაქ ახალციხეში, რუსთაველის ქუჩაზე კინოკლუბი და მედიათეკა შენდება. პროექტის ფარგლებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 250 მაყურებელზე გათვლილ დარბაზი, კინოდარბაზი და მედიათეკა მოეწყობა.
- ასევე ქალაქ ახალციხეში, შალვა ახალციხელის ქუჩა №5-ში მიმდინარეობს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ახალი სამუსიკო სკოლის მშენებლობა.
- ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქ. №44-ში მდებარე სპორტულ კომპლექსს (სპორტსკოლას) კაპიტალური რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია უტარდება.
- მრავალფუნქციური სპორტული კომპლექსის მშენებლობა დასრულდა ქალაქ ახალციხეში, ასპინძის ქუჩაზე.
- მიმდინარე წელს, ქალაქ ახალციხესა და მუნიციპალიტეტის სოფლებში 9 ხელოვნურსაფარიანი სპორტული მოედნის მშენებლობა/რეაბილიტაცია განხორციელდა. ასევე, მიმდინარეობს 3 სპორტული მოედნის მოწყობა.

ირაკლი ლაზარაშვილმა მუნიციპალიტეტში **საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებასა და ავტოპარკის განახლებაზე** გაამახვილა ყურადღება. აღინიშნა, რომ გასულ წელს, ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ შეძენილ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილ 18 ახალ სამგზავრო ავტობუსს, მიმდინარე წელს, ფორდის ტიპის M2 კატეგორიის, 18-ადგილიანი 3 მიკროავტობუსიც დაემატა.

აღსანიშნავია, ისიც, რომ მუნიციპალიტეტმა დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამუშაოების ეფექტურად განსახორციელებლად სხვადასხვა სახის სპეცტექნიკა შეიძინა, მათ შორის ქუჩების მომრეცხი საირიგაციო მანქანა, მტვერსასრუტი, თოვლმწმენდი და მარილმომყრელი მანქანა, 2 ექსკავატორ - დამტვირთველი, 5 ერთეული თვითმცლელი სატვირთო მანქანა და 2 ახალი თანამედროვე სტანდარტების ნაგავმზიდი.

გამწვანების ღონისძიებები: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, ქალაქის სხვადასხვა უბნებში არსებულ რეკრეაციულ ზონებში, სკვერებში, გზისპირებსა და ხელოვნური ტბის ტერიტორიაზე ახალი ხე-მცენარეები დაირგო. მიმდინარე წელს, ქალაქის გამწვანების მიზნით, მუნიციპალიტეტის მერიამ არყის ხის, პავლონიის, კვიპაროსის, კამელიის, აიკუბას, ემონიუსის, ზეთისხილის ხის და მარაო პალმის 830 ძირი ნერგი შეიძინა.

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება: ახალციხის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებული სოციალური პროგრამები და სამედიცინო მომსახურებასა და მედიკამენტებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ამ მიმართულებით

ადგილობრივ ბიუჯეტში 2 289 892 ლარია გათვალისწინებული. 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალურ დახმარების გაცემის წესი 25 პროგრამული მუხლისაგან შედგება, საიდანაც პირველი 7 მუხლით განსაზღვრულია ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების დაფინანსება, ხოლო დანარჩენი 18 მუხლი კი მოიცავს სოციალური დახმარების პროგრამებს. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მუნიციპალიტეტში 2 მნიშვნელოვანი სერვისი - „შინმოვლა“ და „პერსონალური ასისტენტი“ დაინერგა.

მიმდინარე წლის იანვრიდან სექტემბრამდე მერიის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებით ისარგებლა 3 550 - მდე ბენეფიციარმა. ბენეფიციართა იმ ნაწილს კი, რომლებიც „ახალციხის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესით“ გათვალისწინებულ პირობებს ვერ აკმაყოფილებენ, დამატებითი დოკუმენტაციის წარდგენისა და შესწავლის საფუძველზე დახმარება მერიის სარეზერვო ფონდიდან ეწევათ.

განათლება, კულტურა და სპორტი: ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით და უშუალო მონაწილეობით ჩატარდა 51 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა 251 981 ლარი, მათ შორის: განათლების, სპორტის, ახალგაზრდობის და ტურიზმის განყოფილების მიერ ჩატარდა 25 ღონისძიება, რისთვისაც დაიხარჯა 149 430 ლარი. კულტურისა და ქალთა უფლებების დაცვის განყოფილების მიერ კი ჩატარდა 26 ღონისძიება, დაიხარჯა 102 551 ლარი.

აღსანიშნავია, რომ სამუშაო გეგმით გათვალისწინებული ქვეპროგრამის **„ახალციხის მერის სტიპენდიები წარჩინებულ სტუდენტებს”**, ფარგლებში, მერის სტიპენდია მიიღო სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის 80-მა წარჩინებულმა სტუდენტმა, ფულადი წახალისების სახით გაიცა 40 ათასი ლარი.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიის ინიციატივით, გასული წლიდან ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო და კერძო სკოლების კურსდამთავრებულთა **100 პროცენტიანი სასწავლო გრანტის მფლობელთა ფულადი ჯილდოს გაცემის პროგრამა.** 2024 წელს 100 პროცენტიანი გრანტი მოიპოვა სამმა პირველკურსელმა, რომელთაც გადაეცათ ფულადი ჯილდო, თითოეულს 1000 ლარის ოდენობით.

გარდა ამისა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, წარმატებით ხორციელდება **„სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა“**, რომლის საერთო ღირებულება 371 485 ლარია. პროგრამის ფარგლებში სრულდება 46 მარშრუტის 121 მიმართულება, რითაც სარგებლობს 19 სკოლის 766 ბენეფიციარი.

თავის მხრივ, „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრებმა მოსაზრებები გამოთქვეს წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით.

საბჭოს წევრმა, **ნანა იოსელიანმა** მადლობა გადაუხადა მერს გაწეული საქმიანობისათვის და იმედი გამოთქვა რომ წარმატებით დასრულდება ის მასშტაბური პროექტები, რომლებიც დაწყებულია მუნიციპალიტეტში.

მიმდინარე და განხორციელებული პროექტები ასევე, დადებითად შეაფასეს საბჭოს წევრებმა **ციური ლაფაჩმა, შალვა ტაბატაძემ, ვასილ კვინიხაძემ** და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს მადლობა გადაუხადეს გაწეული მუშაობისათვის.

საბჭოს წევრმა, **ნუგზარ თათეშვილმა** აღნიშნა, რომ მისასალმებელია, ადგილობრივი თვითმმართველობის მხრიდან მოსახლეობის ინტერესების მაქსიმალურად გათვალისწინება და ადგილობრივების საჭიროებებზე მორგებული პროექტების დაგეგმვა-განხორციელება.

საბჭოს წევრმა, **გივი ბუცხრიკიძემ** ახალციხის მუნიციპალიტეტის მერიისა და სამცხე-ჯავახეთის უნივერსიტეტის წარმატებულ თანამშრომლობაზე და სტუდენტების წახალისების მიზნით მოქმედ

პროგრამაზე გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, მისასალმებელია, რომ უნივერსიტეტის 96-მა სტუდენტმა მიმდინარე წელს ფულადი წახალისების სახით მერის სტიპენდია მიიღო.

სხდომის დასასრულს მერმა მადლობა გადაუხადა „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ თითოეულ წევრს 4 წლის განმავლობაში გაწეული მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის.

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის „სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს“ წევრები:

1 ბელა ავალიშვილი _____

2 ცირა მესხიშვილი _____

3 ნუგზარ თათეშვილი _____

4 ნანა იოსელიანი _____

5 თამარ კაპანაძე _____

6 ომარ ჯაყელი _____

7 მაკა ბერიძე _____

8 ვასილ კვინცხაძე _____

9 შალვა ტაბატაძე _____

10 მერაბ ბერიძე _____

11 გიორგი ბუცხრიკიძე _____

12 გურამი ჯინჭველაძე _____

13 მაია გაჩეჩილაძე _____

14 ნიკოლოზ ხიზანიშვილი _____

15 რომან მაისურაძე _____

16 ნათია ტაბლიაშვილი _____

17 ნატალი სისვაძე

18 მეგი თათეშვილი

19 ციური ლაფაჩი

20 ნუგზარ რუხაძე

21 გიორგი კურტანიძე

22 რიმა სუდაძე

23 ქეთევანი თედორაძე

24 ნათია ზურაბაშვილი